ადამიანთა ურთიერთობას მათი პიროვნული ღირსება, კაცობა განაპირობებს — ყველა ის თვისება, რომლის მატარებელიც გახლავთ. ამ თვისებებს კი ყოველდღიური ცხოვრება ავლენს. მიხეილ მირილაშვილის მამასთან — ძვირფას მიშიკოსთან — ყმაწვილკაცობიდან მქონდა ურთიერთობა — კულაშში იქნებოდა, თუ ცხაკაიაში, მოგვიანებით კი თბილისში, ჩვენი შეხვედრები თბილი და მონატრებული იყო. მიხო მირილაშვილთან ჩვენი ურთიერთობა კი ორ ათეულ წელსაც არ ითვლის — იგი დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ჩინებული ვაჟი — სლავა — ჩვენი სიძე გახდა.

ყოველდღიურობაში ჩანს მიხოს და მისი ოჯახის კეთილშობილება. ეს გარემოები ჩვენს ურთიერთობას განაპირობებს და აძლევს იმ ხასიათს, რომელიც აქვს — სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, ანგარიშის გაწევის.

დიდხანს გევლოს ასე, ჩვენო საყვარელო მძახალო და მეგობარო, მიხო მირილაშვილო!

**მალხაზ ბათიაშვილი**

ბატონო მიხეილ!

დიდი პატივისცემით გილოცავთ სამოცი წლის იუბილეს!

გისურვებთ ულევ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კეთილდღეობას თქვენ ლამაზ ოჯახთან ერთად.

ად მეა ვე ესრიმ!

საუკეთესო სურვილებით.

**ელენ ბერკოვიჩი,**
**ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (JCC Tbilisi) დირექტორი**



ბატონო მიხეილ, სულითა და გულით გილოცავთ 60 წლის იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას საქმიანობაში!

ჩვენი ურთიერთობა 30 წლის წინ დაიწყო — 90-იანებში, ლენინგრადში. მაშინ „მაკაბის“ საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდა კალათბურთელებმა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველად ვიასპარეზეთ და ეს ტურნე თქვენი სპონსორობით შედგა.

თქვენნაირი პროგრესულად მოაზროვნე და ღირსეული პიროვნებისთვის ქველმოქმედება ცხოვრების მოთხოვნილებად იქცა.ესაა: სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება, მომავალ თაობებზე ზრუნვა, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების მხარდაჭერა ...

ჩვენი კონტაქტი აქტიურად გაგრძელდა 2017 წლიდან, როცა თქვენ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტად აგირჩიეთ. ამ პერიოდიდან უკვე სისტემატურად ვთანამშრომლობთ მაღალი რანგის საერთაშორისო შეხვედრებზე ებრაული თემატიკის საკითხების გადასაჭრელად საქართველოში, ისრაელში, საფრანგეთში, უკრაინაში

მეამაყება, რომ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელი ქართველი ებრაელია!

დარწმუნებული ვარ, თქვენი თაოსნობით ნაყოფიერად და წარმატებით განვახორციელებთ საერთო მიზნებს.

**გურამ თეთრაშვილი**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი**
**ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეის წევრი**

## კაცი, რომელთანაც არის ღმერთი

ებრაელი ხალხის საზოგადოებრივი და ეკონომიკური მოღვაწეობის დიდ გზაზე მიხეილ (მიხო) მიხეილის - ძე მირილაშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა.

მიხო მირილაშვილის მონოლითურ პიროვნებაში ასახვა ჰპოვა ებრაელი ხალხის საუკეთესო თვისებებმა: დიდი აზრით გატაცებამ, რაინდობამ, მიმტევებლობამ, ღ..თის სიყვარულმა.

მსოფლიოს ებრაულ მოძრაობაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილზე, მიხო მირილაშვილის თანამდებობრივი რეგალიები, ბიზნესისა და საქველმოქმედო მოღვაწეობის შედეგები, საპატიო წოდებები და ჯილდოები მეტყველებს. მისი როგორც ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს თავის ირგვლივ შემოკრებილ პირთა გაერთიანება ერთ მთლიან და მონოლითურ კოლექტივად, წამყვანი მნიშვნელობა ამ საქმიანობაში ყოველთვის ენიჭებოდა აღრიცხვიანობას, მომთხოვნელობასა და ურთიერთპატივისცემას. სწორედ ამან განაპირობა მისი ბიზნესის წინსვლა და აყვავება მაშინაც კი, როცა ის 8 წლის მანძილზეშეზღუდული თავისუფლების პირობებში იმყოფებოდა. მან იცოდა, რომ ემსახურებოდა არა მარტო თავის ოჯახს, არამედ ებრაელობის ეროვნულ სულისკვეთებას. საზღაურიც მშობლიური ხალხიდან, ნათესავ-მეგობრებიდან დიდი იყო - ხალხს იგი უყვარდა, აფასებდა, სჯეროდა მისი, მიჰყვებოდა მას.

მიხო მირილაშვილის სახელთან არის დაკავშირებული მსოფლიოს ებრაული მოძრაობის რიგი ინსტიტუციებისა და საერთაშორისო სტრუქტურების წარმატებული მუშაობა. ვის თუ არა მას, ანდობს მსოფლიოს ებრაელობა რიგი ავტორიტეტული ორგანოების მართვას. საზოგადოებრივი აზრი იყო ერთადერთი იარაღი, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ბ-ნ მიხოზე, რათა მას ესათუის თანამდებობა დაეკავებინა. ასე იყო მაშინაც, როდესაც 2015 წელს მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. მჯერა, მან ეს პოსტები მიიღო ებრაელი ხალხის სამსახურის დიდი სურვილით. დღევანდელი გადმოსახედიდან დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მიზანდასახულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად აამაღლა ქართველი ებრაელობის იმიჯი.

მახსოვს, 2016 წლის ოქტომბერში იუნესკოში გამართულ კენჭისყრაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც უარყოფდა ებრაელი ხალხის კავშირს „ტაძრის მთასთან“. ამ რეზოლუციას მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა დაუჭირეს მხარი, ამ სახელმწიფოთაგან ზოგიერთი ქვეყნის ებრაელობა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის წევრია. მახსენდება მიხო მირილაშვილის სიტყვები: „დიასპორაში თითოეულმა ებრაელმა უნდა განსაზღვროს, თუ კონკრეტულად რა შეუძლია გააკეთოს ისრაელის სახელმწიფოსათვის, ებრაელი ერისათვის. მათ შეუძლიათ და ვალდებულებიც არიან, ზეგავლენა იქონიონ თავიანთი სახელმწიფოს ხელმძღვანელებზე და მოიპოვონ მათი მხარდაჭერა“.

ძალიან ფართეა მ. მირილაშვილის სამოქმედო ასპარეზი: ვისთანაც არ უნდა უხდებოდეს ურთიერთობა, იქნება ეს ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტი ჯორჯ (უმცროსი) ბუში, მისი ძალისხმევა მიმართულია ებრაული პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

მ. მირილაშვილი გახლავთ მეტად პრესტიჟული პრემიის - „ესაიას“ ლაურეატი. ეს პრემია მიენიჭებათ ადამიანებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი დასდეს ისრაელის სახელმწიფოს, მსოფლიოს ებრაულ მოძრაობას, კაცობრიობას. ასეთებად სცნეს ბილ კლინტონი, იცხაკ რაბინი, შერონ სტოუნი, ალექსანდრე მაშკევიჩი.

მ. მირილაშვილის ფინანსური მხარდაჭერით, მსოფლიოში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტია განხორციელებული. იქნება ეს თავდაცვისა და უშიშროების, მაღალი ტექნოლოგიების, სასწავლო-საგანმანათლებლო, დიპლომატიური ურთიერთობისა, თუ სასულიერო სფეროში. აღვნიშნავ მხოლოდ 3 მათგანს, რომელთა მანიფესტირება ჩემი თანდასწრებით მოხდა და ჩემზე, როგორც ებრაელ კაცზე, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

1. საბჭოთა ჯარისკაცების მემორიალური კომპლექსი ქ. ნათანიაში (2011 წ.) ძნელია გადააფასო ამ მოვლენის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მემორიალის გახსნა შედგა ისრაელისა და რუსეთის სახელმწიფოთა პრეზიდენტების — შიმონ პერესისა და ვლადიმირ პუტინის უშუალო მონაწილეობით.

2. 2017 წ. მაისში თელ-ავივის ცენტრში „ქვარ მაქაბიას“ მრავალპროფილური კომპლექსის ტერიტორიაზე ერთ-ერთ 3 სართულიან კამპუსს მიხეილ გაბრიელის - ძე მირილაშვილის სახელი მიენიჭა, კამპუსის 16 ოთახსა და უახლოესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ აუდიტორიებში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სიმპოზიუმები და სემინარები.

3. 2019 დეკემბერში, იერუსალიმში გაიხსნა მეორე მსოფლიო ომში ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი. ამ აქციამ გულგრილი არ დატოვეს რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ლავროვი, რომლის ლოყაზე ცრემლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ტელერეპორტიორებს.

მაინც რა არის მ. მირილაშვილის წარმატების მიზეზი? ვფიქრობ, მისი წარმატება ემყარება უტყუარ კომერციულ ალღოს, ცოდნასა და ღვთის მოშიშობას. უტყუარი კომერციული ალღო ის არის, რაც კაცის თვალს საქმიან წინადადებათა ოკეანეში ჩაახედებს, წინ წაუძღვება და ეუბნება, თუ რომელ პროექტს ჩაჰკიდოს ხელი, რომელ მათგანშია ღმერთისგან მისთვის განსაზღვრული სიმდიდრე. ასე იყო მიხო მირილაშვილის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ბიზნეს-პროექტის „Water Gen“-ის შემთხვევაშიც. ამ პროექტის არსი ორი სიტყვით რომ ვთქვათ, ჰაერიდან წყლის მიღებაში მდგომარეობს. თითქოსდა, ახალი არაფერია: კაცობრიობისათვის ადამ და ევას დროიდან არის ცნობილი ჰაერის ორთქლის წყლის წვეთებად გარდაქმნის ამბავი. საჭირო იყო შეუმცდარი ალღო, რომ კაცს ამ პროექტის პერსპექტიულობა დაენახა. განეჭვრიტა ამ გამოგონების პრაქტიკული მნიშვნელობა მასიური უბედურებისა და კატასტროფების რეგიონებში, ანდა რეგიონებში, სადაც წყლის ქრონიკული უკმარისობა არსებობს. ამ პროექტის სამეცნიერო რელსებზე შესაყენებლად, ბ-ნი მიხოს ინვესტირებისა და ძალისხმევის საფუძველზე, თელ-ავივის უნივერსიტეტში გაიხსნა მიშიკო მირილაშვილის სახ. ინსტიტუტი, მასში დასაქმებული არიან მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ-მუშაკები, რომლებიც „Water gen“-ის პროექტის ფარგლებში მოიძიებენ სამეცნიერო წყაროებს, ამუშავებენ მეთოდურ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს. დღეს„ჭატერ გენ“-ის გენერატორები განლაგებულია ევროპის, აზიის, აფრიკისა რიგ რეგიონებში.



არ შემიძლია არ გავიხსენო ცნობილი ებრაელი კომერსანტისა და ბანკირის მ. როტშილდის სიტყვები „ოღონდ ღმერთი იყოს ჩემთან და ჩემს წარმატებას არაფერი ემუქრებაო“. ალბათ, მიმიხვდი, მკითხველო, რისი თქმა მინდა. ღვთისმოშიშობა და სამსახური ბ-ნი მიხოს ცხოვრების მთავარი ნიშანია. ამასთან მისი ცხოვრების წესი დასტურია იმისა, რომ კავშირი ღმერთსა და ებრაელ ერს შორის დამოკიდებულია ებრაელი კაცის ქცევასა და ყოფაზე, იმაზე, თუ რამდენად ერთგულია ადამიანი ღ...სა. სახლის კარზე მუზეუზის ჩამოკიდება, თეფილინის დადება, ციტატის მოხურვა, ცედაკის გატანა, მიცვაში გარევა, თალმიდხახმების შემოკრება და მათი გახარება - მიხო მირილაშვილის ყოველდღიური ცხოვრებაა.

ჩემო მიხო, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდ ეკონომიკურ სიძლიერეს, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ სარბიელზე.

ად მეაველესრიმ!

**ჰეპატოლოგ ქირურგთა მსოფლიო ასოციაციის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**მერაბ სარელი (იზრაელაშვილი)**

## О еврейской мудрости и лидерстве

Так сложилось, что мой поиск разгадки понятия еврейской мудрости привел меня к созданию 15-томника «Тайны еврейских мудрецов». Еврейские мудрецы ,мыслители, раввины разных эпох открывают еврейскую мудрость через свои афоризмы, толкования каждый по-своему, каждый




через призму своей эпохи, жизненного опыта. Еврейская мудрость стала для меня одним из символов еврейского народа и базовым понятием, определяющим содержание человека. Еврейская мудрость – это сочетание лидерских качеств, ответственности и в тоже время религиозность и почитание истории и традиции своего народа.

Мне в жизни довелось увидеть много хороших евреев и еврейских руководителей, но Михаил Михайлович это нечто другое. Обычно человек или обладает лидирующими качествами и, так скажем, скромный еврей, или наоборот человек такой серьезный, продвинутый религиозный еврей, а вот с остальным тяжелее. Чтобы это сочеталось в одном человеке – такое я увидел впервые. И в этом для меня открылась настоящая еврейская мудрость.

Михаил Михайлович действительно настоящий лидер. Я уверен, что это абсолютно не секрет для всех, кто работает под его началом, для коллег и партнеров. Но еврейский лидер – это особенный человек, я бы сказал с двойной ответственностью. Я видел его разговаривающим с руководителями государств, я видел как любую тему он всегда переводит на интересы еврейской общины, интересы еврейского народа.

Сегодня Михаил Михайлович руководит одной из крупнейших еврейских организаций мира – Евро-Азиатским Еврейским Конгрессом. И я искренне желаю ему много лет находиться во главе ЕАЕК, который с его приходом стал по истине еврейской организацией.

Я рад и счастлив, что я нахожусь рядом с ним. Он необычайное сочетание веры и силы, традиции и современности, бизнеса и филантропии. Он настоящий еврейский лидер, бережно хранящий еврейскую мудрость и традицию. Он партнер, друг и настоящий человек во всем.

Желаю ему и его семье всего самого хорошего и светлого. До 120!

**Вадим Рабинович**

Дорогой, Михал Михалыч!

От всего сердца поздравляю Вас с Юбилеем!

Желаю Вам океан здоровья, море счастья и всех-всех благ!

Для меня во многом Вы являетесь примером для подражания. Ваша готовность всегда приходить первым на помощь людям, никого не могут оставить равнодушным. И дело даже не в средствах, а в том огромном еврейском сердце и душе, которые ведут Вас по жизни. Не могу обойти вниманием и тот огромный вклад в еврейскую жизнь, как в Израиле, так и в диаспоре, которую Вы несете в мир. Для меня, Вы – гордость еврейской нации и я очень ценю и дорожу дружбой с Вами!

С уважением,

**Константин Йоэль Развозов**
**Депутат Кнесета**
**Бывший капитан олимпийской Команды по дзюдо,**
**Чемпион Европы**

## Про будущее

Более 25-ти лет я вовлечен в проекты и программы еврейской общины. За эти годы на моих глазах вырастали целые поколения еврейских студентов. Образование и привлечение в еврейскую жизнь каждого из них были и есть ключевой ответственностью организации Гилель в Украине, Беларуси, Молдове, Грузии, Азербайджане. А ключевым вопросом для еврейской общины был, есть и всегда будет вопрос будущего и задача каждого из нас, обеспечить это будущее.

Могу смело сказать, что мне посчастливилось на своем пути встретить большое количество меценатов и филантропов, еврейских лидеров и образователей, обеспечивающих еврейское будущее. Но вместе с этим, совсем недавно мне посчастливилось встретиться с Михаил Михайловичем, который делает будущее еврейской общины уже сегодня. И мне очень хотелось объединить наши усилия.

С 2018 года,после начала партнерства с ЕАЕК под руководством Михаила Михайловича, мы получили мощный импульс для реализации ценностей и миссии организации Гилель. Это уникальный случай для еврейской общины, когда существует не только понятие «для», но и понятие «вместе». Мы ощущаем колоссальную поддержку Михаила Михайловича в реализации программ и проектов, мы знаем о его видении благодаря нашим многочисленным встречам, мы чувствуем, что строим будущее еврейской общины вместе.

Многотысячная семья Гилеля в Украине, Беларуси, Молдове, Грузии, Азербайджане желает Михаилу Михайловичу долгих лет жизни, всех благ ему и его семье! И дай Б-г сил реализовать все задуманное вместе.

**Иосиф Аксельруд,**
**региональный директор Гилеля в Украине, Беларуси, Молдове, Грузии, Азербайджане и многотысячная Гилелевская семья.**

Дорогой Михаил Михайлович!

Солдатское братство участников Великой битвы против нацизма, все члены нашей боевой организации поздравляют Вас, Всевышним одаренного и родительским домом воспитанного, доброго человека, с 60-летием!

Пусть источники Вашего благополучия и великодушия к людям сопутствуют Вам на всю жизнь.

Мы желаем Вам, Михаил Михайлович, Вашей семье, близким и родным здоровья, благополучия, счастья, долгих лет жизни!

До 120!

**С благодарностью, уважением, любовью к Вам**
**Абрам Гринзайд,**
**Председатель Союза ветеранов**
**1 мая 2020 года, Тель-Авив, Израиль**

Два года назад мне посчастливилось познакомиться с поразительным человеком, которого я глубоко уважаю и которым восхищаюсь.

Это был Михаил Михайлович Мирилашвили — человек столь же многогранный, сколь и целостный.

Успешный предприниматель, филантроп и общественный деятель, искренний в своем служении еврейскому народу, настоящий друг, всегда готовый подставить плечо, а главное — человек глубоко, неподдельно верующий.

Только такой талантливый бизнесмен, как Михаил Михайлович, мог наладить производство денег из воздуха — в самом прямом смысле слова. Я говорю о проекте создания генератора, перерабатывающего воздух в питьевую воду. Михаил Михайлович не просто наладил выпуск таких генераторов — он довел их до такого уровня качества, что его генераторы взяли на вооружение армии США, Великобритании, Франции и, конечно же, ЦАХАЛ.

Несколько лет назад Михаил Михайлович одним из первых поддержал строительство еврейского поселка неподалеку от Киева. К сожалению, многие люди в Украине сегодня потеряли свои дома. Именно для внутренних переселенцев-евреев был создан поселок Анатевка, названный в честь той Анатевки, которую придумал ШоломАлейхем. В прошлом году там открылся общинный реабилитационный центр «Бейт Шмуэль», построенный Михаилом Михайловичем. Сегодня в Анатевке живет около ста человек, работают школы, детский сад и синагога.

Эти два проекта, на мой взгляд, идеально характеризуют Михаила Михайловича — бизнесмена, филантропа и выдающегося еврейского деятеля. Хотя, конечно, подобных проектов намного больше — в одном лишь Израиле он поддерживает всемирное движение «Маккаби», мемориал национальной памяти «Яд Вашем», Центр мира им. Переса, «Сохнут», больницы Ихилов и Шиба, Тель-Авивский университет, Музыкальную академию в Иерусалиме и множество других важных инициатив.

Возглавив Евро-Азиатский еврейский конгресс, Михаил Михайлович поставил себе цель — процветание еврейских общин в диаспоре. Над этой целью он самоотверженно работает многие годы. И для меня честь работать с ним вместе.

Сегодня все мы будем праздновать день рождения замечательного человека, который вдохновляет окружающих и служит для многих примером. Я благодарен Б-гу за то, что наши пути пересеклись, и желаю Михаилу Михайловичу оставаться столь же цельной личностью на протяжении долгих, долгих лет.

До 120, Михо!

**Борис Ложкин**
**Президент Еврейской конфедерации Украины**
**Вице-президент Евро-Азиатского еврейского конгресса**
**Вице-президент Всемирного еврейского конгресса**

Дорогой Михаил Михайлович!

Поздравляю Вас с Юбилеем! Желаю Вам счастья, крепкого здоровья, успехов и долголетия.Продолжайте творить добро для человечества чтоб сделать наш мир лучьше. Вы играете фундаментальную роль в моем развитие и я Вам за это очень благодарен. Желаю Вам что все ваши мечты и начинания исполнялись и Вам всегда улыбалась удача. Мазал Тов до 120!!!

С большим Уважением

**Максим Пасик**

Уважаемый Михаил Михайлович!

Мы видим в Вас одного из крупнейших лидеров современного еврейского мира, мудрого наставника, видного бизнесмена, общественного деятеля.

В день Вашего рождения, мы от всей души желаем Вам здоровья, бодрости, семейного тепла и уюта,

активной плодотворной работы, новых творческих идей, выгодных вложений, широких возможностей и перспективных проектов!

Пусть сбудутся желания и устремления, сохранится все хорошее, что есть в Вашей жизни и преумножатся мгновения радости, любви и оптимизма.

Пусть накопленный жизненный опыт и мудрость помогут достичь Вам новых высот!

И до 120 лет!

С искренними поздравлениями и уважением,

**Александр Барон,**
**Инесса Чугайнова**

Дорогой Михаил Михайлович!

От всего сердца поздравляю Вас с юбилеем!

В российском бизнес-сообществе Вы по праву считаетесь одной из самых ярких и неординарных личностей. Имея честь

на протяжении уже довольно долгих лет называть себя Вашим другом, не устаю восхищаться Вашим неравнодушным отношением

к делу, трудолюбием и настойчивостью в достижении целей, неиссякаемой жизненной энергией. Вы широко известны всей стране, а также за ее пределами, и как успешный предприниматель, и как щедрый филантроп. Во многом благодаря вашей поддержке еврейские организации как мирового и всероссийского, так и — особенно — петербургского уровней могут вести полноценную благотворительную, образовательную и культурную работу.

Хотя масштабы вашей многогранной деятельности

не ограничиваются Санкт-Петербургом, именно Город на Неве может назвать Вас одним из самых талантливых и успешных лидеров местного бизнес-сообщества за всю свою 317-летнюю историю.

В этот прекрасный первомайский день желаю Вам и Вашим родным и близким счастья, здоровья и всего самого доброго, а возглавляемому Вами Евро-Азиатскому Еврейскому Конгрессу — поступательно развиваться, расти и процветать!

С уважением,

**президент Международного благотворительного фонда СТМЭГИ,**
**вице-президент Российского еврейского конгресса,**
**вице-президент Евро-Азиатского Еврейского Конгресса**
**Герман Захарьяев**

# რატომ?

ქართველ ებრაელობას ბევრი სასახელი შვილი ჰყოლია, უფრო მეტი ჰყავს დღეს — ისინი ცხოვრობენ არა მხოლოდ ისრაელში, გნებავთ, საქართველოში, მიმოფანტულნი გახლავან აშშ-ში, რუსეთსა, ევროპასა, თუ სხვა ქვეყნებში.

სამწუხაროდ, გარდა ძალიან მცირე გამონაკლისისა, ჟამთაღმწერელმა არ შემოგვინახა შორეული წარსულის ღირსეულ ქართველ ებრაელთა სახეები და სახელები. უახლოესი წარსულის ქართველ ებრაელთა გარჯა-ღვაწლი კი ხშირად იქცევს არა მხოლოდ ჩვენს, საერთაშორისო აუდიტორიის ყურადღებას. წინა პლანზე მოდის და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სასულიერო მოღვაწეთა როლი ქართველი ებრაელობის ხასიათის, თავისი ფუნქციის გაგებისა და აღსრულების საკითხში — სწორედ ამ კოჰორტის დიდებულ წარმომადგენელთა წინდახედულობამ ჩამოაყალიბა ქართველი ებრაელობის მსოფლშეგრძნება.

ვერც იმას ავუქცევთ გვერდს, რომ ქართველი ებრაელობა მსოფლიოს ებრაელობის კულისებში გახლდათ მოქცეული, ეს განპირობებული იყო სხვადასხვა გარემოებებით, რომელთაგან უწინარესი მაინც ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და გეოგრაფიული ფაქტორები იყო — შეუძლებელია ქვეყნიერების სამზეოზე ჩანდეს იმ ქვეყნის ებრაელობა, რომელიც მომხდურის კლანჭებშია მოქცეული. დიდი აკაკი წერეთლის კალმით ქართველ ებრაელობა ასე მოთქვამდა :

*გაბნეული ვართ ყოველგან, სხვადასხვა უცხო მხარესა,*

*ვერ ვხედავთ იერუსალიმს, იმის მზეს, იმის მთვარესა,*

. . .

*რჯული გვედება მალამოდ, გულდამწვართ, სისხლმდინარეთა,*

*უცხო ვართ, უცხო ხალხებთან, ცრემლს ვაქცევთ მუდამ მწარესა.*

მოგვიანებით კი, ქართული მწერლობის ასევე კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია შესძახებს: „ეჰ, ვინ გაიგებს, იმ შავ ჭმუნვას, რომელიც მზის ჩასვლისას ღიღინით მიმავალ ებრაელის სულში სდიოდეს!“

მე ორი მწერლის ციტატა მოვიშველიე. ორივეს სტრიქონებში ებრაელობისადმი თანაგრძნობა და სიბრალულია გამოხატული. შემეძლო ათჯერ მეტი ავტორი მომეშველიებინა — ქართული საზოგადოებრივი აზრის საჭეთმპყრობელნი მუდამ თანაუგრძნობდნენ, იბრალებდნენ ებრაელობას და როცა ეს აუცილებელი ხდებოდა, იცავდნენ კიდეც.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ, მოგვიანებით კი ექვსდღიანმა ომმა, მსოფლიოს ებრაელობის მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. შეიცვალა ქართველი ებრაელობის სახე — იქნებიან ისინი ისტორიულ სამშობლოსა, თუ კვლავაც დიასპორაში. დღეს, როდესაც ქართველი ებრაელები გახლავან ისრაელისა, თუ საქართველოს პარლამენტის წევრები, ფლობენ ისრაელისა, თუ საქართველოს მთავრობის წევრობის მანდატებს, აწგანსვენებულ ქართველ ებრაელ ბიზნესმენს აშშ პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო კომპანიაში შეაქვს თავისი ფინანსური წვლილი, ასევე შეერთებულ შტატებში აწგანსვენებული ქართველი ებრაელი ფილოსოფოსისა და მწერლის რომანებს კითხულობს ამერიკელი მკითხველი, ქართველი ებრაელი კომპოზიტორის ნაწარმოებებს ასრულებენ მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრები, შედარებით ახალგაზრდა ქართველი ებრაელი კომპოზიტორი ქალი დამაჯერებლად გადის საერთაშორისო ასპარეზზე, ქართველი ებრაელი ონკოლოგის, პროფესიული ცოდნა-ოსტატობით სიცოცხლეშენარჩუნებული ისრაელელი პაციენტი უზარმაზარ ტყეს არქმევს ქართველი ებრაელი ქირურგის სახელს, შუაგულ ევროპაში მცხოვრები ქართველი ებრაელი ბიზნესმენი ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ქუთაისისა და თბილისის ბეით ქნესეთებს, სოხუმში აღზრდილი ქართველი ებრაელი მეცნიერი აშშ რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორია, თბილისში მცხოვრებ მეცნიერ ქალს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტები იწვევენ ლექციების წასაკითხად, ასევე თბილისში მცხოვრებ ქართველი ებრაელი მწერლის რომანებს ეხმიანება ისრაელის პრესტიჟული პრესა, ქართველი და ისრაელელი მეცნიერები კი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოადგენენ მოხსენებებს, რომლებშიც გაანალიზებულია მისი ნაწარმოებები, თბილისელ ქართველ ებრაელ გიტარისტს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკრავენ ტაშს ... რამდენი ერთი ჩამოვთვალო, რამდენი დიდებული ქართველი ებრაელი მეცნიერის, მოღვაწის, ბიზნესმენის, შემოქმედის სახელი უნდა მოვიშველიო, რომ ხმამაღლა ითქვას: თანამედროვე ქართველი ებრაელობა სრულიად განსხვავებული, გაცილებით მაღალი გრადაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენომენია. იგი არაფრით არ ჩამოჰგავს იმ ებრაელთა ცხოვრებას, რომელზეც აკაკი წერეთელი და კონსტანტინე გამსახურდია წერდნენ.

და ეს გახლავთ შედეგი არა იმდენად დროთა მდინარებისა, რამდენადაც ისრაელის სახელმწიფოს არსებობისა და „რკინის ფარდის“ ჩამოშლისა. ამ პროცესში კი ქართველმა ებრაელობამ ლომის წილი შეიტანა. ამას ისრაელის პრემიერ-მინისტრიც კი ადასტურებს. ამაზე ვუამბობდით მაყურებელს დოკუმენტურ ფილმში „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!“ დიდებული მერაბ კოკოჩაშვილის რეჟისურით, რომ შევქმენით.

და ამ ფონზე იკვეთება მიხეილ მირილაშვილის — ფილანტროპის, ქველმოქმედის, რწმენის გუშაგის, საზოგადო მოღვაწის ფიგურა — უზენაესმა მას უწილხვედრა ასეთი მისია.

კარგად მახსოვს, ის დღეები, როცა მ. მირილაშვილი მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტთა კოჰორტას შემოუერთდა. მისი კანდიდატურა რომში გამართულ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დავამტკიცეთ. მოგვიანებით იგი ერთობ მძლავრი — ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი გახდა. როცა ადამიანი ძალიან მდიდარია, როცა მისი ქონება ასეულობით მილიონებითაა შეფასებული, რისთვის სჭირდება მას ამოდენა ტვირთი — მილიონები ხომ არა ერთი, ათობით ორგანიზაციის, კონგრესების მეუფედ გაქცევს! პატივმოყვარეობა სძლევს? ებრაელ კაცს უთქვამს „იეშ მამონ, იეშ ქავოდ!“ „თუ არის ფული, არის პატივისცემაც!“ ე.ი თუ მთავარი პატივმოყვარეობაა, მისი დაკმაყოფილების უზადო საშუალება ფინანსებია. მაშ, რიღასთვის ამოდენა გარჯა — დატვირთვა? ყველაფერ ამას ხომ არა მხოლოდ დიდი ფინანსური ძალისხმევა, დრო (რომელიც ფინანსურად კიდევ უფრო გაძლიერების საქმეს აკლდება), ენერგია სჭირდება — თვითმფრინავიდან თვითმფრინავში, ქალაქიდან ქალაქში გადასვლა, ჯანმრთელობისთვის არც თუ ძლიერ ხელსაყრელია. მაშ, რიღასთვის ასეთი გარჯა?

იმისთვის რომ ებრაელობის ყოფა იყოს უკეთესი — ვიდრე არის დღეს. იმისთვის რომ ყოველი ჩვენგანისათვის ბავშვობისა, თუ ყმაწვილკაცობის საოცნებო ისრაელის სახელმწიფოებრიობა იყოს უფრო უსაფრთხო, ვიდრე არის დღეს. სწორედ ამ მიზნით მიხ. მირილაშვილი აკაკუნებს პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების, თუ მინისტრების კარზე და ცდილობს მათს შემეცნებაში აღიბეჭდოს: ებრაელობა არის ერი, რომელიც ისრაელის, თვითოეული ებრაელის გასაჭირს ფეხდაფეხ მისდევს. მიხ. მირილაშვილი არსად, არავისთან არ მიდის სათხოვნელად, არ მიდის იმის სათქმელად რომ „ცრემლს ვაფრქვევთ მუდამ მწარესა“, მიდის იმისთვის, რომ დასვას საკითხი და თუ ეს აუცილებელია, შემოჰკრას განგაშის ზარი.

აი, ამიტომ გავისარჯეთ ასე მ. მირილაშვილის საიუბილეოდ და მივმართეთ თანამედროვე ებრაელობის რამდენიმე ღირსეულ წარმომადგენელს, გამოეთქვათ მოსაზრება ამ მოღვაწეზე. დღეს საერთაშორისო ებრაულ სტრუქტურებში იგი გახლავთ ქართველი ებრაელის განზოგადოებული სახე. დიახ, ქართველი ებრაელობისა და არა ერთი მიხეილ (მიხო) მირილაშვილის, რომელიც განაგრძობს მთელი ქართველი ებრაელობის, თავისი ოჯახის, დიდებულ ტრადიციას — გვერდით დაუდგეს იმას, ვისაც გვერდში ამოდგომა სჭირდება. და რატომ არის განზოგადოებული სახე? დღეს ბევრი ქართველი ებრაელი ბიზნესმენი ცხოვრობს მსგავსი სულისკვეთებით. რამდენს გაუცია და დღესაც უშურველად გასცემს — ისინი არიან ევროპისა, თუ აზიის ქალაქებში, თავად ისრაელში!

ალბათ, მიმიხვდი, ძვირფასო მკითხველო: გვეწადა ეს საიუბილე თარიღი გვექცია ქართველი ებრაელობის არსის წარმოჩენის საბაბად და დაფიქსირებულიყო ქართველი ებრაელობის როლი და ადგილი თანამედროვეობაში.

**გურამ ბათიაშვილი**

[illegible]

EAJC
EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

[illegible]

[illegible] 299.90.96

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557

9771987898003